ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3050059

ნომერი: AR1470814

თარიღი : 16.01.2017

გაცემის თარიღი : 18.01.2017

გაცნობის თარიღი : 18.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბეთლემი , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაღრაძე პ/ნ 01016007975
- თბილისი ფონიჭალა 3 კორ. 29 ბ. 1

ორგანიზაცია:

- ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი" კოდი: 404384974

ნომენკლატურა :

- თბილისის განვითარების ფონდი
- აშენებული არქიტექტურული ობიექტები

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი უნდა იქნეს განმარტებითი ბარათი ტექნიურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით;
2. ჭრილი "1-1" და გეგმები არ შეესაბამება ერთმანეთს;
3. "დ-ა" ფასადზე "გ-ბ" მონაკვეთში ნაჩვენებია ვიტრაჟები და მოაჯირები, რაც არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოების მიხედვით არ არის მოწყობილი;
4. 01.18.03.071.001 საკადასტრო ერთეულის მხარეს ირღვევა სამეზობლო მიჯნები;
5. შეტყობინებით გამოგაზვნილ რწმუნებულებას გასული აქვს მოქმედების ვადა;
6. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეტის მესაკუთრის თანხმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.